საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11210/01
30/11/2020

11210-01-2-202011301916

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა ,,სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის" არჭილო-პატარა ბორბალო-ომალოს საავტომობილო გზის (5 ლოტის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სნო – ჯუთა – როშკა– შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის „ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01 მონაკვეთის" სკოპინგის განცხადებები და გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო გზის ექვსივე ლოტი კვეთს, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო კონვენციით დაცულ ტერიტორიებს. „სნო – ჯუთა – როშკა– შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის „ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01" გზის მონაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი კვეთს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებულ ტერიტორიას, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სტატუსის მქონე ჰაბიტატები და ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, მაღალი მთის ეკოსისტემები, მდიდარი ბიომრავალფეროვნება, მაღალი ენდემიზმით გამორჩეული ფლორა და ფაუნა. დაგეგმილი პროექტების ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე. ასევე „სნო – ჯუთა – როშკა– შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის „ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01" გზის მონაკვეთი მდებარეობს ზურმუტის დამტკიცებული ტერიტორიების (Kazbegi-GE0000009 და Arkhoti – GE0000002) უშუალო სიახლოვეს.

რაც შეეხება ,,სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის" არჭილო-პატარა ბორბალო-ომალოს საავტომობილო გზის (5 ლოტის) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტს, გეგმარებითი გზა და ასევე შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტები კვეთს 3 დაცულ ტერიტორიას - თუშეთის ეროვნულ პარკს, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს და ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს. ასევე აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია თითქმის მთლიანად მოქცეულია ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული ტერიტორიების საზღვრებში, კერძოდ: პატარა ბორბალოს უღელტეხილიდან აღმოსავლეთით გამავალი დერეფანი გადის თუშეთის დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანი „თუშეთის" (GE0000008)

საზღვრებში; ხოლო პატარა ბორბალოს უღელტეხილიდან დასავლეთით გამავალი დერეფანი გადის ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის უბანი „არხოტის“ (GE0000002) საზღვრებში (იხ. წარმოდგენილი ანგარიში გვ. 8).

პროექტი თავისი მონაკვეთებით და საპროექტო ტერიტორიის გათვალისწინებით, საკმაოდ მასშტაბურია. დაგეგმილია ქმედებები გზის ახალი მონაკვეთების, გვირაბების და ხიდების მშენებლობისთვის, შესაბამისად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება მნიშვნელოვანი, რაც დეტალურ შეფასებას საჭიროებს (მათ შორის სკოპინგის ეტაპზე) იმისათვის, რომ სრულფასოვნად მოხდეს ზემოქმედების იდენტიფიცირება და საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია სტიქიური ბუნებრივი მოვლენებიც და საპროექტო მონაკვეთების გეოლოგიური მდგომარეობა, ვინაიდან ტერიტორიაზე არც თუ ისე იშვიათია ზვავები და მეწყერები, ასევე მკაცრი კლიმატის პირობებში ცივი ამინდების ხანგრძლივობაც მეტია, რაც წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში სათანადოდ არ არის შეფასებული შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ადექვატური შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია კვეთს ზურმუხტის ქსელის 2 საიტს, რაც ცვლილებებს მოახდენს ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ტერიტორიებზე. წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ იძლევა ნათელ სურათს კონკრეტულას რა ზემოქმედება ექნება ზურმუხტის ქსელით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე. თავში 3.9.1 „ზემოქმედების მოკლე აღწერა, შემარბილებელი ღონისძიებების წინასწარი მონახაზი“ აღნიშნულია: „პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ქვეშ ექცევა როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო კონვენციით დაცული ტერიტორიების ნაწილი. განხილვას ექვემდებარება მათზე როგორც პირდაპირი სახის, ასევე ირიბი ზემოქმედება. პირდაპირი ზემოქმედების მხრივ უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხები: დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოქცეული ჰაბიტატების უშუალო განადგურება და ფრაგმენტაცია (ზემოქმედება ჰაბიტატის ერთიანობაზე); დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი მცენარეთა სახეობების გარემოდან ამოღება ან/და ცხოველთა სახეობების საცხოვრებელი ადგილების განადგურება და მათზე უშუალო ზემოქმედება; არაპირდაპირი (ირიბი) ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე და სახეობებზე საქმიანობასთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორით და დაბინძურების რისკებით“. შესაბამისად, ზემოქმედების შეფასებისთვის საჭიროა წარმოდგენილი იქნას ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების შესაბამისი დოკუმენტი თუ რომელი კონკრეტული სახეობებისა და ჰაბიტატების განადგურება/დაზიანება მოხდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის თანახმად, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება: ,,ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა“, ხოლო წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ ,,მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად შეიზღუდოს და შესაძლებლობის შემთხვევაში მთლიანად გამოირიცხოს აფეთქებითი სამუშაოები. ასეთის გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მცირე მუხტების გამოყენება”.

„სნო – ჯუთა – როშკა– შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა – რეკონსტრუქციის „ჯუთა +3,9 კმ - მიერთება 01 მონაკვეთის“ იდენტიფიცირების შედეგად დადგინდა, რომ გზის მნიშვნელოვანი ნაწილი კვეთს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებულ ტერიტორიას, სადაც წარმოდგენილია მაღალი მთის ეკოსისტემები, მდიდარი ბიომრავალფეროვნება, მაღალი ენდემიზმით გამორჩეული ფლორა და ფაუნა. ამასთან, საპროექტო ტერიტორია არის ზურმუხტის დამტკიცებული ტერიტორიების (Kazbegi-GE0000009 და Arkhoti – GE0000002) უშუალო სიახლოვეს. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია, რომ გზა ხელს

შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას და ა.შ. თუმცა საპროექტო მონაკვეთისათვის არ არის წარმოდგენილი შემდეგი საკითხები:

- საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ არის მოცემული გზის მშენებლობის აუცილებლობის/გადაუდებელი საჭიროების დასაბუთება. დოკუმენტში მითითებულია, რომ მოსალოდნელია უარყოფითი ზემოქმედება, როგორც დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, ამავდროულად ზურმუხტის ქსელის საიტებზე და საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებზე, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გზით. წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის დასაბუთებული, რომ პროექტის განხორციელება ქვეყნისათვის მეტი ღირებულებით გამოირჩევა, ვიდრე ის ბიომრავალფეროვნება, რომელზეც მოსალოდნელია უარყოფითი ზემოქმედება. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ის ეკონომიკური გათვლები და მოსახლეობისათვის მოსალოდნელი სარგებელი, რაც შეიძლება იყოს საპირწონე დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონეტარული ღირებულების;
- სკოპინგის ანგარიშის 2.2.1 ქვეთავში „არაქმედების ალტერნატივა“ მითითებულია მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებები. ამავე თავის დასასრულს მითითებულია მხოლოდ შემდეგი დასაბუთება: „საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ პროექტით მოსალოდნელი სარგებელი აჭარბებს იმ უარყოფით ზემოქმედებებს, რომლებიც მოსალოდნელია ძირითადად მშენებლობის ეტაპზე. თუმცა ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებლის და მისი ზედამხედველობით სამშენებლო კომპანიის მიერ ზედმიწევნით შესრულდება პროექტი და გატარდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (მათ შორის გზშ-ს ანგარიშით) მოთხოვნილი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე არაქმედების ალტერნატივა არ იქნება მისაღები და უპირატესობა ენიჭება პროექტის განხორციელებას.“ აღნიშნული არგუმენტები წარმოადგენს მხოლოდ სამომავლო ხედვას, ვინაიდან ერთ-ერთ არგუმენტად დასახელებულია, რომ გზის გაყვანა შექმნის სამუშაო ადგილებს მოსახლეობისათვის და შეაჩერებს მაღალმთიანი რეგიონების დაცლას და ხალხის გადინებას, ხოლო თავში 3.12 „ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე” მითითებულია: „პროექტის განხორციელება იგეგმება დაუსახლებელ ტერიტორიაზე, ურბანული ზონებიდან საკმაოდ დიდი მანძილის მოშორებით. მოცემულ არეალში ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის რომელიმე მიმართულება არ არის გამოკვეთილი.“ აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე დაგეგმილი გზის გაყვანის შედეგად მოსახლეობის ადგილზე დამაგრებასთან დაკავშირებით საჭიროები არ არის დაზუსტებული;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სანაყაროსთვის შერჩეული ტერიტორია (GPS კოორდინატებზე X – 489412; Y – 4711779) წარმოადგენს როშკის ბუნების ძეგლის სტატუსით დაცულ ტერიტორიას. მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია ფუჭი ქანების სანაყაროს დაცულ ტერიტორიაზე მოწყობა, რაც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ფუჭი ქანების სანაყაროების, სამშენებლო ბანაკების და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილმდებარეობა და შესაბამისი ალტერნატივები, მისასვლელი გზების საჭიროება და მათ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული ინფორმაცია განხილვიდან ამოღებული ალტერნატივების თაობაზე;
- თავში „3.8 ზემოქმედება ფაუნაზე“ ქაოტურად არის ჩამოთვლილი ლიტერატურული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია. გაურკვეველი ჩანაწერია „წინასწარი შეფასებით საავტომობილო გზის საპროექტო ადგილებში

ცხოველთა მნიშვნელოვანი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. ლიტერატურულად ცნობილი ძუძუმწოვრის სახეობიდან წინასწარი საველე კვლევებით ვერ იქნა ნანახი მათი კვალი ან ცხოველქმედების სხვა ნიშნები", აღნიშნული არ გამორიცხავს ამ სახეობების არსებობას, საჭიროა კონკრეტულად საპროექტო გზის დერეფანში არსებული ცხოველთა სამყაროს და ჰაბიტატების დადგენა; ამასთან, სკოპინგის ანგარიშში, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სათანადოდ არ არის ასახული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკითხები და შემარბილებელი ღონისძიებები.

- შემარბილებელი ღონისძიებების წინასწარ მონახაზში (გვ. 35) აღნიშნულია შემდეგი: „სამუშაო ბრიგადებს უნდა მიეცეთ მითითება, რომ დაუშვებელია ფაუნის წარმომადგენლების დახოცვა, არამედ მათ უნდა მიეცეთ ტერიტორიიდან თავის დაღწევის საშუალება სამუშაოების წარმოებისას. უკიდურეს შემთხვევაში მათი შეშფოთება უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ იმით, რომ ცხოველებს მიეცეთ დერეფანი გასაქცევად. თუ ცხოველი შემთხვევით გაიჭედება სამუშაო უბანზე, მუშებმა უნდა მოძებნონ გზა, რათა მან დაუზიანებლად გააღწიოს ტერიტორიიდან;" აღსანიშნავია, რომ ეს ძალიან სუსტი ღონისძიებაა. ამასთან, მრავალი ცხოველის სამიგრაციო და საბინადრო გზების, ფრინველების საბუდარი და შესაწყვილებელი ადგილების რღვევის, მრავალი სუბალპური ეკოსისტემის რღვევის და ენდემური მცენარეების ჰაბიტატების საპირწონედ, სკოპინგის ანგარიშში ჩამოთვლილი ღონისძიებები საჭიროა ზოოლოგიური და ბოტანიკური შეფასებების და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაიწეროს, რაც არ არის გათვალისწინებული სკოპინგის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშის თანდართულ SHP ფაილებში არ არის მოცემული საპროექტო გზის ალტერნატივები;
- დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს სნო–ჯუთა–როშკა–შატილი–ომალო–ხადორის ხეობა–ბაწარა–ახმეტის მთლიანი გზის ნაწილს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გზის მონაკვეთის ფუნქციონირება აზრს კარგავს სნო–ჯუთა–როშკა–შატილი–ომალო–ხადორის ხეობა–ბაწარა–ახმეტას სრული პროექტის განხორციელების გარეშე, წარმოდგენილი ლოტები არის ერთიანი გზის (სნო-ჯუთა-როშკა-შატილიომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულების საავტომობილო გზა) ნაწილი და ცალკეული მონაკვეთების განხილვა ვერ ქმნის სრულ სურათს გარემოს ყველა კომპონენტის სრულყოფილად/სრულფასოვნად შეფასებისათვის.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშებში არ არის დასაბუთებული შერჩეული ალტერნატივების უპირატესობა გარემოს დაცვის კუთხით. ამასთან, დოკუმენტებით არ იკვეთება პროექტების განხორციელებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშედარება გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში.

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ ბუნებრივი ფასეულობის შენარჩუნებაზე, რაც რეალურად ხელს უწყობს მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას და მიმზიდველს ხდის ადგილს ვიზიტორთათვის, რაც თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა ადგილობრივი სერვისის განვითარებას ვიზიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ადგილობივი მოსახლოებისთვის შემოსავლის წყაროს გაჩენასა და მათი სოციო-ეკონომიკური დონის გაუმჯობესების ხელშეწყობას. მიმდინარე ეტაპზე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაგეგმილი აქვს პროექტის განორციელება, რომელიც მიზნად ისახავს თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის და

ყაზბეგის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას, საფეხმავლო ბილიკების პროექტირება-მოწყობას და სხვადასხვა სერვისების დანერგვა-განვითარებას, სადაც აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა. შესაბამისად, დაცული ტერიტორიებისა და გარემოსდაცვითი მიზნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პროექტის საბოლოო შეფასებისთვის წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი ინფორმაცია, კერძოდ, რა ზეგავლენას მოახდენს პროექტით გათვალისწინებული ქმედებები დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულ უნიკალურ ბიომრავალფეროვნებაზე, ასევე ზურმუხტის ქსელის საიტებზე გავრცელებულ სახეობებსა და მათ ბუნებრივ ჰაბიტატებზე, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საშუალებას, სრულყოფილად შეფასდეს ის უარყოფითი ზემოქმედება და საფრთხეები, რაც შესაძლოა გამოწვეული იქნას პროექტის განხორციელებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშებთან დაკავშირებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე